

სარა პენიპეკერი

# პაუსი

ინგლისურიდან თარგმნა ანი კოპლიანმა  
ილუსტრატორი ჯონ კლასენი



სულაკაურის  
გამომცემლობა

„ის, რომ რაღაც ჩვენს თავს არ ხდება,  
არ ნიშნავს, რომ იგი არ ხდება საერთოდ“.







ქელიამ, რომელიც მუდამ პირველი იყნოსავდა ხოლმე ყოველ ცვლილებას, ახლაც ბიჭზე ადრე იგრძნო, რომ მანქანამ სვლა შეანელა. იგრძნო თათების ბალიშებით, ხერხემლის ყველა მალთა და კოჭების მგრძნობიარე ბუსუსებით. ვიბრაციამ ისიც უკარნახა, რომ გზა, რომელსაც მიუყვებოდნენ, სულ უფრო ოკრობოკრო გახდებოდა. იგი ბიჭის მუხლებზე წამოიმართა და ღია ფანჯრიდან შემოღწეული სუნი შეიყნოსა თუ არა, მიხვდა, ტყეში მიდიოდნენ. ფიჭვების, მათი მერქნის, გირჩებისა და წიწვების მკვეთრი სურნელი ბასრი დანასავით სერავდა ჰაერს, მაგრამ ამის მიღმა მელამ სამყურას, ველური ნივრისა და გვიმრის სუნიც ამოიციო, შერეული ასობით სხვა სურნელთან, რომლებსაც სახელს ვერ დაარქმევდა, მაგრამ მძაფრად უღიტინებდა ცხვირში და სიმწვანის ასოციაციას იწვევდა.

ახლა უკვე ბიჭმაც იგრძნო რაღაც. მელია გულზე მიიხუტა და ბეისბოლის ხელთათმანწამოცმული ხელი მაგრად მომუჭა.

მელია ბიჭის შფოთვამ გააოცა. მანქანით ადრეც უმგზავრიათ ერთად, მაგრამ მაშინ მისი პატრონი სავსებით დამშვიდებული ჩანდა, მეტიც, კარგ გუნებაზეც იყო. ეს კია, რომ ტყავის სუნი ყო-

ველთვის ეჯავრებოდა. პატარა მხეცმა დრუნჩი ბეისბოლის ხელთათმანის ბადეში წაყო. მისი ბიჭუნა ამაზე ყოველთვის იცინოდა ხოლმე. დრუნჩზე ხელთათმანიან ხელს მოუჭერდა და ხუმრობით ეძიძგილავებოდა. გემრიელად ერთობოდნენ ერთად.

მაგრამ დღეს ბიჭი სხვაგვარად მოიქცა: შინაური მხეცუნა მაგრად მიიკრა მკერდზე და სახე მის ქათქათა ბენვში ჩამალა.

მაშინლა მიხვდა მელია, რომ მისი პატრონი ტიროდა. აცმუკდა და ბიჭს სახეზე ნაზად გაეხახუნა, რათა საბოლოოდ დარწმუნებულიყო. ნამდვილად ტიროდა! თუმცაღა, უხმოდ. ასეთი რამ არ სჩვეოდა. დიდი ხანია, მის პატრონს თვალიდან ცრემლი აღარ ჩამოვარდნია, მაგრამ ცხოველს კარგად ახსოვდა, როგორ ტიროდა ხოლმე ბიჭი: ისეთ ღრიალს ამოუშვებდა, თითქოს უნდოდა, ასეთი უცნაური საქციელით – თვალებიდან მლაშე ცრემლების ნაკადის გადმოფრქვევით – მთელი სამყაროს ყურადღება მიეპყრო.

მელიამ რამდენჯერმე აულოკა ცრემლები და კიდევ უფრო დაიბნა. სისხლის სუნი ამკარად არ სცემდა. ბიჭის ხელებში მოქცეული ანრიალდა და უფრო გულდასმით დაყნოსა თავისი პატრონი. საკუთარ თავში ეჭვი შეეპარა, ეგებ ამ ერთხელ ჩემმა შეუმცდარმა გეშმა მიმტყუნა და ჭრილობა ვერ შევნიშნეო. არა! არც სისხლი უჩანდა სადმე და არც მსუბუქი დაჟეჟილობით გამონვეული კანქვეშა სისხლჩაქცევა; არც გაბზარული ნეკნიდან გამოუჟონავს ძვლის ტვინს, როგორც ერთხელ მოხდა.

მანქანა მარჯვნივ გადაქანდა და მათ გვერდით დადებული ჩემოდანი შეირხა. ჩემოდნიდან ამოჭრილმა სუნმა მელია მიახვედრა, რომ შიგ ბიჭის ტანსაცმელი ელაგა და კიდევ ის ნივთები, რომლებსაც მისი პატრონი ყველაზე ხშირად ეხებოდა ხელით – ფოტოსურათი, რომელიც მუდამ კომოდის თავზე იდო, და სულ ქვედა უჯრაში მიმაღული ნივთები. პაქსმა ჩემოდნის კუთხეს თათი ჩამოჰკრა, იმ იმედით, რომ ოდნავ მაინც შეაღებდა, იქიდან გამოსული საყვარელი ნივთების სურნელი კი ბიჭის ყნოსვას მისწვდებოდა და დაამშვიდებდა. მაგრამ ზუსტად იმ წუთს მანქანა-

ნამ სვლა კვლავ შეანელა. ბიჭი წინ გადავარდა და სახეზე ხელები აიფარა.

მელას გული ყელში მოებჯინა და კუდზე ბენვი აეჯაგრა. ბიჭის მამის ახალი ტანსაცმლის გამომწვარი ლითონის მსგავსი სუნი ხორხს უკანრავდა. ფანჯარას მისწვდა და აფხაჭუნდა. ხანდახან, როდესაც სახლში ასე იქცეოდა, მისი ბიჭუნა ამ ფანჯრის მსგავს მინის კედელს ამოსწევდა ხოლმე.

ამჯერად კი ბიჭმა მელა ისევ კალთაში ჩაინვინა და მამას მუდარით სავსე ხმით მიმართა. მელამ ბევრი ადამიანური სიტყვის მნიშვნელობა იცოდა უკვე, მათ შორის, სიტყვა „არასი“, რომელსაც ბიჭი ახლა გამუდმებით იმეორებდა. ადრე ამ სიტყვას იმ ორად ორ სახელთან ერთად წარმოთქვამდნენ ხოლმე, რომლებიც მელამ იცოდა, ეს იყო მისი ან მისი ბიჭის სახელები. თუმცა ამჯერად ბიჭი მუდარით სავსე ხმით მხოლოდ „არას!“ იმეორებდა.

მანქანა მკვეთრად დამუხრუჭდა და მარჯვნივ შეუხვია. ფანჯრის უკან მტვრის ბული დააყენა. მამა კვლავ გადმოიხარა სავარძლიდან, ჯერ რალაც უთხრა შვილს რბილი ხმით, ასე რომ არ შეეფერებოდა მის ფოლადისმაგვარ სუნს და მერე, რაკილა ვერ დაითანხმა, მელიას ქეროში ჩაავლო ხელი.

რადგან მის ბიჭს წინააღმდეგობა არ გაუწევია, მელიაც მორჩილად გაჰყვა მამას. უმწეოდ იწვა კაცის მკლავებში. ისეთი შეშინებული იყო, კბენის თავიც აღარ ჰქონდა. დღეს ძალიან არ მოსწონდა თავისი პატრონები. მამამ მანქანის კარი გააღო, და ტყისპირა ხრეშიან ბილიკს გაუყვა, რომელზეც ალაგ-ალაგ სარეველები ამოჩრილიყო. ბიჭიც გადმოვიდა მანქანიდან და უკან დაედევნა მათ.

მამამ მელია ძირს ჩამოსვა თუ არა, ცხოველი მაშინვე განზე გახტა და შორიდან მიაჩერდა მამა-შვილს. გაოცებულმა აღმოაჩინა, რომ ისინი უკვე ლამის ერთი სიმაღლისანი იყვნენ. ბიჭი ბოლო ხანებში ძალიან გაზრდილიყო.

მამამ მას ხეებისაკენ ანიშნა. ბიჭმა თვალი თვალში გაუყარა

მამას და დიდხანს უცქერდა ასე, აწყლიანებული თვალებით. მერე მაისურის საყელოთი ცრემლიანი სახე შეიმშრალა, მამას თავი დაუქნია და ჯინსის ჯიბეში ჩაიყო ხელი, საიდანაც მელაკუდას საყვარელი სათამაშო, ძველი პლასტმასის ჯარისკაცი ამოაძვრინა.

მელა გამოცოცხლდა და ნაცნობი თამაშისათვის მოემზადა – მისი ბიჭუნა სათამაშოს გადააგდებდა, თვითონ კი მის კვალს მიჰყევებოდა; მერე სათამაშოს იპოვიდა, პირით დაიჭერდა და ელოდა, როდის მოძებნიდა პატრონი, რომელიც პლასტმასის ჯარისკაცს გამოართმევდა და ისევ გადააგდებდა. ბიჭს ძალიან უყვარდა ეს თამაში. აი, ბიჭმა სათამაშო ტყის სიღრმეში მოისროლა. მელიამ შვება იგრძნო – ესე იგი აქ სათამაშოდ მოვიდნენ! იგი ტყისკენ ისე გაექანა, ერთი წამითაც არ მოუხედავს უკან. რომ მოეხედა, აუცილებლად დაბრუნდებოდა, რადგან დაინახავდა, როგორ აიფარა ბიჭუნამ სახეზე ხელები. დაბრუნდებოდა და დაიცავდა, მოესიყვარულებოდა ბიჭს, გულიდან დარდს გადაჰყრიდა.

მაგრამ ამის ნაცვლად ის სათამაშოს გაეკიდა. მისი მოძებნა ამჯერად ცოტა მეტად გაუჭირდა, ვიდრე სხვა დროს, რადგან ახლა ძალიან ბევრნაირი მკვეთრი სუნი ირეოდა ერთმანეთში. თუმცა საბოლოოდ მაინც მიაგნო, რადგან სათამაშოს მისი ბიჭუნას სუნი ასდიოდა. ამ სუნს კი მელია ყველა სურნელისაგან გამოარჩევდა.

სათამაშო ჯარისკაცი კალიფორნიული კაკლის ხის დაკორძილ ფესვებში სასონარკვეთილი ადამიანივით ჩამხოზილიყო შაშხანა, რომელიც მუდამ შემართული ეჭირა, ფოთლების გროვაში კონდახამდე ჩაფლულიყო. მელამ დრუნჩი ნაჰკრა სათამაშოს, კბილებს შორის მოიქცია და უკანა ფეხებზე წამოიმართა, რომ ბიჭუნას უკეთ დაენახა.

ტყეში ჩამონოლილ სამარისებურ სიჩუმეს მხოლოდ ფოთლების ბაღდახინში ჩამოღწეული მომწვანოდ მოციმციმე ათინათი არღვევდა. მელია უფრო მეტად წამოყელყელავდა. მისი ბიჭი არსად ჩანდა. ცხოველს ზურგში ელდამ დაუარა. მან სათამაშო ძირს დააგდო და დაიხავლა. არავინ გამოჰასუხებია. ისევ და ისევ

ხაოდა, მაგრამ პასუხად მხოლოდ ბაყაყების ყიყინი ესმოდა. თუკი ეს რაღაც ახალი თამაში იყო, მელას აშკარად არ მოსწონდა იგი.

მან პლასტმასის ჯარისკაცს ისევ ჩაავლო პირი და თავისსავე კვალს გაჰყვა. ხეებს შორის რომ მიხტოდა, თავზე ჩხიკვმა გადაუფრინა ჩხავილით. მელა გაშეშდა, უკან დაიხია.

მისი ბიჭი კი ელოდა, რომ თამაში გაეგრძელებინათ. მაგრამ, ოჰ, ეს ჩიტები! ზაფხულის ღამეებში საათობით უყურებდა ჩიტებს თავისი ხუხულიდან, აღფრთოვანებით შესცქეროდა, როგორ უდარდელად კვეთდნენ ცას ელვასავით. მათი ლალი ნავარდი სამუდამოდ ჩარჩენოდა ხსოვნაში.

ისევ მოესმა ჩხიკვის ხმიანობა, ახლა უკვე ტყის სიღრმიდან, და მას მთელი გუნდი გამოეპასუხა. მელა ერთ წამს შეეყოვნდა, ხეებს შეაჩერდა იმის მოლოდინით, რომ მათ შორის კიდეც ერთ ელვარე ლურჯბოლოიან ფრინველს მოჰკრავდა თვალს.

ამ დროს ზურგს უკან კარის ჯახუნის ხმა მოესმა. ხმა კიდეც ერთხელ გამეორდა. მელა მთელი სისწრაფით გაქანდა. ყურადღებას არ აქცევდა ასკილის ბუჩქებს, დრუნჩს რომ უკანრავდა. მანქანის ძრავა მთელი ხმით ღმუოდა. მელია ზედ გზის ნაპირას მკვეთრად მოსრიალდა და შეჩერდა.

ბიჭუნამ ფანჯრის მინა ჩამოსწია და ხელეები მელასკენ გაიშვირა. მანქანა ადგილს მოსწყდა და ხრემის კორიანტელი დააყენა. მელამ ჯერ ბიჭის სახელი, „პიტერი“ გაიგონა, მამამ რომ დაუძახა, ბიჭმა კი ის მეორე სახელი დაიძახა, რომელიც მან იცოდა:

– პაქს!





„**2** ართლა უთვალავი ყოფილა“.  
მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა სულელურად ჟღერდა, პიტერ-მა მაინც გაიმეორა: „უთვალავი“. მან ხელით ამოურია თუნუქის კოლოფში მოთავსებულ პლასტმასის ჯარისკაცების გროვას (იმ თუნუქის კოლოფით ოდესღაც მინანქრიან ორცხობილებს ყიდდნენ). ყველა ჯარისკაცი ერთნაირი იყო, მხოლოდ პოზა განასხვავებდათ: ზოგი იდგა, ზოგი ჩამუხლულიყო, ზოგი კი მინაზე დაფოფხავდა, მაგრამ ყველა მათგანს მჭიდროდ მიეკრა შაშხანა ყვრიმალზე.

– ყოველთვის მეგონა, რომ მხოლოდ ერთი ცალი ჰქონდა.

– რას ამბობ, ნაბიჯს ვერ ვდგამდი ისე, რომ რომელიმე მათგანისთვის არ დამედგა ფეხი. ასობით ჰქონდა. მთელი არმია, – ბაბუას საკუთარ უკბილო ხუმრობაზე გაეცინა, პიტერს კი ერთი ნაკვთი არ შერხევია. თავი მიატრიალა და დაჟინებით მიაჩერდა ფანჯარას, თითქოს ჩაბნელებულ ეზოში რალაცას თვალს ვერ სწყვეტსო. მერე ხელის ზურგი ყბაზე ზუსტად ისე ჩამოისვა, როგორც მამამისმა იცოდა, როცა ნაპარსი წვერის ნარჩენებს იშორებდა ხოლმე და მალულად მოიწმინდა თვალეებში აკიაფებული ცრემლები. ღლაპი ხომ არ იყო, რომ ასეთ რამეზე ეტირა?

და საერთოდაც, რა ატირებდა, ბოლოს და ბოლოს? უკვე თორმეტი წლისა იყო და ამდენი წლის განმავლობაში ერთი ცრემლიც არ გადმოვარდნოდა თვალიდან. მაშინაც კი არ უტირია, როდესაც ჯოშ ჰარიჰანის მიერ ჩამონოდებული მაღალი, მოკლე დარტყმა შიშველი ხელით მოიგერია და ცერი მოიტეხა. საშინლად ეტკინა, მაგრამ მხოლოდ შეიკურთხა და დაელოდა, მწვრთნელი რენტგენის გადასაღებად როდის წაიყვანდა. მაშინ კაცურად მოიქცა. დღეს კი... თანაც ორჯერ.

პიტერმა კოლოფიდან ერთი ჯარისკაცი ამოიღო და ის დღე მოაგონდა, როდესაც ეს სათამაშო პირველად ნახა მამას საწერ მაგიდაზე.

– ეს რა არის? – იკითხა მან მაშინ და პლასტმასის მეომარს ხელი დაავლო.

მამა პიტერისკენ გადმოიხარა და სახეგაბრწყინებულმა გამოართვა ჯარისკაცი.

– უჰ, რამდენი დრო გასულა. ბავშვობაში ეს ჩემი საყვარელი თამაში იყო.

– მაჩუქებ?

– რასაკვირველია, – გაუღიმა მამამ და ისევ მიანოდა ჯარისკაცი.

პიტერმა თავისი საწოლის გვერდით, ფანჯრის რაფაზე შემოასკუპა სათამაშო, მისი შაშხანის ლულა გარეთ მიმართა და ოთახის მცველის როლი დააკისრა. მაგრამ საათიც არ გასულა, რომ პაქსმა გუშაგს პირი წამოავლო და გაარბენინა. პიტერმა ამაზე ბევრი იცინა. მისი არ იყო, პაქსმაც მიითვისა პლასტმასის ჯარისკაცი...

პიტერმა სათამაშო ისევ თუნუქის კოლოფში დააბრუნა და ის-ის იყო, თავსახურიც უნდა დაეფარებინა, რომ ჯარისკაცების გროვიდან გამოჩრილ გაყვითლებული ფოტოს კიდეს მოჰკრა თვალი.

მან იოლად ამოაცურა ფოტო. მამას, ასე ათი-თერთმეტი წლისას, ცალი ხელი ძაღლისათვის შემოეხვია. ძაღლი კოლისა და



ათასი სხვა ჯიშის ნარევი იყო. კარგი ძალღი  
ჩანდა, აი ისეთი, რომლის შესახებაც  
მოგინდება, შვილს უამბო.

– ვერც კი წარმოვიდგენდი, მამას  
ძალღი თუ ჰყავდა, – თქვა პიტერმა და  
ფოტო ბაბუას გადაანოდა.

– ჰერცოგი ერქვა. ბრიყვი არსება იყო,  
მუდამ ფეხქვეშ ეგებოდა, – მოხუცმა უფრო  
ახლოს მიიტანა ფოტოსურათი და ჩააც-  
ქერდა, მერე ბიჭს ისე შეაჩერდა, თითქოს  
პირველად ხედავდა:

– ზუსტად მამაშენივით შავი თმა გაქვს, – თქვა და კინკრიხოზე  
შემორჩენილ ორიოდე ჭაღარა ბუნუნზე გადაისვა ხელი, – მეც  
ასეთი თმა მქონდა დიდი ხნის წინათ. ნახე, როგორი გამხდარია,  
ზუსტად შენსა და ჩემსავით. სწორედ ჩვენნაირი თეფშით ყურები  
აქვს. ჩვენი ოჯახის ყველა კაცი ერთმანეთს ჰგავს – „კვიცი გვარზე  
ხტისო“, ასე არაა, ა?

– დიახ, სერ, – პიტერმა სცადა, ოდნავ მაინც გაეღიმა, მაგრამ  
ტუჩები ვერ დაიმორჩილა. „ფეხქვეშ გაგებული“. მამაც სწორედ  
ამას ეუბნებოდა: „პაქსი ფეხქვეშ არავის გაეგება, ფეხებში კი გაე-  
ბლანდება ბაბუას, შენც მოერიდე – არ არის მიჩვეული ბავშვებზე  
ზრუნვას.“

– ხომ იცი, ომი დაიწყო და მეც სამშობლოს სამსახურში ჩავდე-  
ქი, როგორც ოდესღაც მამაჩემი, როგორც ახლა – მამაშენი. როცა  
მოვალეობა გვიხმობს, ჩვენი ოჯახის არც ერთი წევრი არ არიდებს  
მას თავს. დიახ, სერ, კვიცი მუდამ გვარზე ხტის, – მან პიტერს  
ფოტო დაუბრუნა, – მამაშენი და ეს ძალღი... განუყრელნი იყვნენ.  
სულ აღარ მახსოვდა.

პიტერმა ფოტო თუნუქში ჩააბრუნა, თავი მჭიდროდ დაახურა  
და სანოლის ქვეშ შეაცურა, იქ, სადაც იპოვა. მერე ისევ ფანჯრი-  
დან ცქერა განაგრძო. ახლა შინაურ ცხოველებზე საუბრის წამონ-

ყება ნამდვილად არ ღირდა. არც მოვალეობის შესახებ უნდოდა რამის გაგონება და არც ცხენებისა და კვიცების.

– აქ რომელ საათზე იწყება სკოლა? – იკითხა ისე, რომ არც კი შემოტრიალებულა.

– რვაზე. მაგრამ მთხოვეს, რომ პირველ დღეს ცოტა ადრე შეიარო, კლასის დამრიგებელს უნდა შენი გაცნობა. მისის მირეზი თუ რამირეზი ჰქვია... ზუსტად აღარ მახსოვს. მართლა, რაღაც-რაღაცები მოგიმზადე, – მოხუცმა რგოლებიან უბის წიგნაკზე, დანჯღრეულ თერმოსსა და სქელი რეზინის ლენტით შეკრულ დაღეული ფანქრების გროვაზე მიუთითა.

პიტერი საწერ მაგიდას მიუახლოვდა და ყველაფერი ზურგ-ჩანთაში ჩაყარა.

– გმადლობ. ავტობუსით უნდა ვიარო თუ ფეხით?

– ფეხით. მამაშენიც ამ სკოლაში დადიოდა და ისიც ფეხით მისეირნობდა ხოლმე. ამ ქუჩას ბოლომდე გაუყევი, სკოლის ქუჩაზე გადაუხვიე და აგურის დიდ ნაგებობას დაინახავ. სკოლის ქუჩაზე, გასაგებია? სახლიდან რვის ნახევარზე გახვალ და ნამდვილად არ დაგაგვიანდება.

პიტერმა თავი დაუქნია. ძალიან უნდოდა მარტო დარჩენა.

– გასაგებია. საერთოდაც, ყველაფერი გასაგებია. ახლა უნდა დავიძინო.

– ძალიან კარგი, – უპასუხა ბაბუამ. მის ხმაში შვება იგრძნობოდა და სულაც არ შეუნუხებია თავი, რომ ეს დაემალა. იგი ოთახიდან გავიდა და კარი ისე მაგრად მოიხურა, თითქოს ბიჭისთვის იმის თქმა უნდოდა, ეს ოთახი შენ გეკუთვნის, მაგრამ დანარჩენი სახლის ბატონ-პატრონი მე ვარო.

პიტერი კართან დადგა და მის ნაბიჯებს მიაყურადა. წუთის შემდეგ ნიჟარაში ჭურჭელი ანკარუნდა. ბიჭმა გონებაში წარმოისახა, როგორ მიმოდოდა ბაბუამისი იმ მოცუცქნულ სამზარეულოში, სადაც ორიოდე საათის წინ მდუმარედ ლეჭავდნენ ჩალასავით უგემურ ვახშამს; სამზარეულოში, რომელიც მუდამ მოშუშული

ხახვის სუნად ყარდა. ეს სუნი, პიტერის აზრით, ბაბუაზე დიდხანს გაძლებდა. ასი წლის შემდეგაც კი, აქ დასახლებულ ყველა ოჯახსაც რომ ეხება და ეპრიალებინა სამზარეულო, ამ მძაფრ სუნს ვერაფრით მოაშორებდნენ.

პიტერმა გაიგონა, როგორ გაფრატუნდა ბაბუა თავისი საძინებლისაკენ, ტელევიზორის ჩამრთველის ტკაცუნიც გაიგონა. მერე ხმას ჩაუწიეს და ახალი ამბების წამყვანის გამკივანი ხმა ძლივს აღწევდა ბიჭის ყურამდე. მაშინლა ნაიდრო ფეხსაცმელი და თავის ვინრო სანოლში შეწვა.

პიტერს მთელი ზაფხული, და ეგებ მეტიც, უნდა გაეტარებინა ამ ბერიკაცთან, რომელიც, ყოველ წვრილმანზე ფეთქებოდა.

– ყოველთვის ასეთი გაცოფებული რატომ არის? – ჰკითხა ერთხელ, წლების წინ მამას.

– ცხოვრებამ გახადა ასეთი, – უპასუხა მამამ, – ბებიაშენის სიკვდილის შემდეგ სულ წავიდა ხელიდან.

პიტერი ამჩნევდა, რომ დედას გარდაცვალების მერე მამაც მუდამ გალიზიანებული იყო. თავდაპირველად მხოლოდ შემაშფოთებლად დუმდა, შემდეგ ნელ-ნელა მუქარით აღსავსე, ავი მზერა შეეყინა სახეზე, ხელები კი მუდამ მუშტებად ჰქონდა შეკრული, თითქოს ერთი სული ჰქონდა, ვინმე ეცემა.

პიტერმა ისწავლა, როგორ არ უნდა ყოფილიყო ეს „ვინმე“ თვითონ. ისწავლა, როგორ არ შესჩხეროდა თვალებში.

ამძაღებული ცხიმისა და მოშუშული ხახვის სუნი ცხვირში უღივინებდა, კედლები და თვით სანოლიც კი ამ სუნით გაჟღენთილიყო. ბიჭმა სანოლიდან ხელი გადასწია და ფანჯარა გამოაღო.

ღია სარკმლიდან აპრილის სუსხნარევემა ნიავმა წამოუბერა. პაქსს აქამდე არასოდეს გაუთევია ღამე ღია ცის ქვეშ, მუდამ თავის ხუხულაში ეძინა. ბიჭმა სცადა, გონებიდან ამოეშალა ის წუთი, როდესაც უკანასკნელად დაინახა მელა. მანქანის კვალდაკვალ სირბილი ალბათ მალე შეწყვიტა, მაგრამ აუტანელი იყო იმის წარ-

მოდგენა, როგორ დაეცემოდა ხრეშიანი გზის პირას ღონემიხდილი და შეშინებული.

პიტერი მოუსვენრობამ შეიპყრო. მთელი დღის, მთელი ამ მოგზაურობის განმავლობაში გრძნობდა, უხილავ ადგილას ჩასაფრებული მახრჩობელა გველივით ყელში როგორ უჭერდა მლელვარება. იგი საცაა ხერხემალზე შეაცოცდებოდა და დამცინავად ჩაუსისინებდა: „არა ხარ იქ, სადაც შენი ყოფნაა საჭირო. ცუდი რამ გელის, იმიტომ, რომ არა ხარ იქ, სადაც უნდა იყო.“

ბიჭი დაიხარა და სანოლის ქვეშიდან ორცხობილის ყუთი გამოიღო. იქიდან კი ფოტო ამოაცურა, რომელზეც მამამისს ასე უდარდელად გადაეხვია ხელი შავ-თეთრი ძაღლისათვის. თითქოს არასოდეს შეუნუხებია იმაზე ფიქრს, რომ ერთ დღესაც შეიძლება, ეს მეგობარი დაეკარგა.

„განუყრელები“ – ბიჭის ყურს არ გამოჰპარვია ამ სიტყვის წარმოთქმისას ბაბუას ხმაში შერეული სიამაყე. რა თქმა უნდა, თავი მოჰქონდა, რომ ასეთი ერთგული და პასუხისმგებლობის გრძნობით სავსე შვილი აღზარდა. იცოდა, ბავშვები და მათი შინაური ცხოველები განუყრელები ხდებიან. უცებ ეს სიტყვა ბრალდებასავით გაისმა. მაშ, ის და პაქსი?.. გასაყრელები იყვნენ?

არამც და არამც! პიტერს ხანდახან უცნაური შეგრძნება ეუფლებოდა, რომ ის და პაქსი ერთი მთლიანობა იყო. ასეთი განცდა იმ დღეს გაუჩნდა, მელა პირველად რომ გაიყვანა სასეირნოდ. პაქსმა ჩიტს მოჰკრა თვალი და მისი საყელურიც დაიჭიმა, სხეული კი ციებიანივით აუცახცახდა. ბიჭმაც უცებ პაქსის თვალით დაინახა ჩიტი – ჯადოსნურად მოელვარე მფრინავი არსება, უკიდევანო თავისუფლება და სისწრაფე. ამის გაფიქრებაზე მთელ სხეულში ჟრუანტელმა დაუარა, კანი დაეხორკლა და ბეჭისთავები ისე აენვა, თითქოს სადაც იყო, ფრთები გამოესხმებოდა.

იგივე დაემართა ამ შუადღესაც. მქროლავ მანქანაში მჯდარს ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მიატოვეს, და თავზარდაცემულს გულისცემა გაუხშირდა.